14767375583421

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210024677

რეგისტრაციის თარიღი

18.01.2021 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 2517800 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაერთი წლის თვრამეტ იანვარს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე **ნიკოლოზ სიფრაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „სპეცმონტაჟი"-ს დირექტორი ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **ნიკოლოზ სიფრაშვილმა** /დაბ. 02.07.1968 წელს, მის. თბილისი, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. № 6, ბინა 123, პ№ 01026006699/ მომმართა.

შევამოწმე ნიკოლოზ სიფრაშვილის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „სპეცმონტაჟი"-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B20103148,** ამონაწერის მომზადების თარიღი: **16.12.2020,** საიდენტიფიკაციო ნომერი : **208151444.**

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, შპს „სპეცმონტაჟი"-ს დირექტორი **ნიკოლოზ სიფრაშვილი** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ლაშა დემეტრაშვილს** /დაბ. 25.09.1983 წელს, მის. თბილისი, მ. თამარაშვილის გამზ. № 13, ბინა 108, პ№ 01008021127/ ჩემი სახელით იმოქმედოს შპს „სპეცმონტაჟი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 208151444) კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე შენობა ნაგებობების აშენებასთან დაკავშირებით, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დაშენების/დემონტაჟის და/ან ფასადის ცვლილების ნებართვები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, დააზუსტოს ფართი, შეიტანოს ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში, შეადგინოს მშენებლობის პროექტები, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, დამტკიცება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ქ. თბილისის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, ზედამხედველობის სამსახურში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან (უძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე).

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი მიეცა **მიმნდობს.**

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „სპეცმონტაჟი"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B20103148,** ამონაწერის მომზადების თარიღი: **16.12.2020;**

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **10.00** ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 1.80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

მიმნდობი: ნიკოლოზ სიფრაშვილი

ნოტარიუსი: /ეკატერინე ძულიაშვილი/

ГРУЗИЯ НОТАРИУС ЕКАТЕРИНЕ ДЗУЛИАШВИЛИ * 01001003353 * GEORGIA NOTARY EKATERINE DZULIASHVILI